MES 6 23 0000166274

13/02/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 03.02.2023**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:25 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

10. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | **ლალი ოდიშვილი** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 2 | **ანა ჯავახიშვილი** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |
| 3 | **ანა ქოიავა** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| **1** | ზაზა რუხაძე | **შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი** | უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში; | I |
| **2** | ქეთევან ჯინჭარაძე | | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| **3** | რუსუდან ციციშვილი | | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის დეკანი | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **4** | თამარ ვაშაკიძე | | ქართული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი; | I |
| **5** | რამაზ კუკულაძე | **შპს ალტე უნივერსიტეტი** | პრეზიდენტი | II |
| **6** | ლევან გახელაძე | | საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი | II |
| **7** | ვლადიმერ მკერვალიშვილი | | საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი | II |
| **8** | გიორგი კობერიძე | | ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი | II |
| **9** | ირმა ნოზაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი | II |
| **9** | ირმა დიხამინჯია | **სსიპ - სოხუმის სახე ლმწიფო უნივერსიტეტი** | ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი | **III- IV** |
| **10** | დავით ზაქარაია | | დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი | **III- IV** |
| **11** | კახი კოპალიანი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | **III- IV** |
| **12** | გურამ აბესაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი | **III- IV** |
| **13** | მურმან კვარაცხელია | | პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი | **III- IV** |
| **14** | კახა ციმინტია | | პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | **III- IV** |
| **15** | რომეო გალდავა | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, | **III- IV** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ასოცირებული პროფესორი | |
| 16 | გიორგი გვალია | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროფესორი, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი | V - VI |
| 17 | გია ნოდია | | პროფესორი, ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. | V - VI |
| 18 | ნინო ჟვანია | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V - VI |
| 19 | ეკა კვინიკაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე | V - VI |
| 20 | მაკა ლაშხია | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | V - VI |
| 21 | ნინო მატარაძე | | დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | V - VI |
| 22 | გიორგი ოდოშაშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | V - VI |
| 23 | ნათია თვალიაშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი | V - VI |
| 24 | ელენე ჟურავლიოვა | | ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო | V - VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი | |
| **25** | არჩილ მაღალაშვილი | **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | პროფესორი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი | **V - VI** |
| **26** | თამარ ზარზაქაძე | | ასოცირებული პროფესორი, საზუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | **V - VI** |

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| **N** | **სახელი, გვარი** | **ინფორმაცია ელექტრონ ული საშუალებით მონა წილეობის შესახებ** | **საკითხი** |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო პოპიაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ზაალ კიკვიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ქრისტინე ჩიხლაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | ნინო ხუბულია | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | ანა ქეშელაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | ირაკლი მანველიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III - V |
| 7 | ეკა ლეკაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 8 | შალვა კელეპტრიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ალტე უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

· არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**1.პირველი საკითხი :** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | N776, 11.12.2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ქართული ფილოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას 2012 წლის 11 იანვარს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N776 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამა რამდენჯერმე გადამუშავდა, განახლდა კანონმდებლობის, აკრედიტაციის სტანდარტების და სხვა მიმართულებებით, მათ შორის, შრომისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, კურსდამთავრებულთა რჩევების შესაბამისად. ქართული ფილოლოგიის მიზანია, მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება არა მხოლოდ პროფესიული ცოდნით, არამედ ფართო ერუდიციითაც, ინტელექტით, ჰუმანიზმითა და ტოლერანტობის გრძნობით, რაც მას დიდად შეუწყობს ხელს, გონივრულად დაგეგმოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი თუ კვლევითი საქმიანობა.

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2022 წლის 24 ნოემბერს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასების მიზნით. იზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, ვიცეპრეზიდენტთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში.
2. რეკომენდებულად მიგვაჩნია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.
3. რეკომენდებულია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრულ საგანში: "მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა", აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები.
4. რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება და აისახოს სწავლის შედეგებში.
5. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ორი სასწავლო კურსის - „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები" (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასტანდარტიზაცია" (LIB 137) - შინაარსი (თემატიკა) და მითითებული ძირითადი ლიტერატურა იმეორებს ერთმანეთს; რეკომენდებულია სათანადო შინაარსობლივი ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სილაბუსებში, რათა აღმოიფხვრას ეს დამთხვევები.

6. რეკომენდებულია, საგანს „სოციოლინგვისტიკა“ (GEO 016) ეწოდოს „სოციოლინგვისტიკის შესავალი;“ ამას განაპირობებს მისი შინაარსი, რაც ასევე დაფიქსირებულია სილაბუსში ჩამოთვლილ სასწავლო კურსის მიზნებს შორის: „გააცნობიერებინოს დისციპლინის შესავალი კურსი.“
7. რეკომენდებულია, „სოციოლინგვისტიკის“ (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყოს მითითებული ისეთი რესურსები, რომლებიც ერთი მხრივ, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელია ენის შესაძლო არცოდნის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არის ფართო სამეცნიერო წრეში არაღიარებული ინფორმაციის შემცველი. ასეთებია: www.krugosvet.ru და http://www.rsuh.ru/article.html?id=398
8. რეკომენდებულია, შეიქმნეს საგამომცემლო საქმის შესაბამისი სასწავლო კურსი და შეივსოს ტექსტის რედაქტირებასთან ერთად საგამომცემლო საქმის შესაბამისი თემატიკით, ან პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედგებიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.
9. რეკომენდებულია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.
10. რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები ძირითადად ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის აკადემიურ ხარისხს და ა.შ., შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა აღნიშნული რჩევები რამდენად ატარებდა რჩევის და არა რეკომენდაციის ხასიათს.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ყურადღება გაამახვილა აკადემიური პერსონალის საკითხზე და დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, ხომ არ აქვს პროგრამას პრობლემა მდგრადობასთან დაკავშირებით. ამასთან მნიშვნელოვანია ჰყავს თუ არა პროგრამას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ინსტიტუციის სკოლის ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია 2020-2022 წლებზე, და დააზუსტა გაეცნენ თუ არა ექსპერტები უახლეს ბიუჯეტს. ამასთან, დასკვნაში რჩევის კომპონენტის ნაწილში მითითებულია შრომის ბაზრის კვლევა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შრომითი ბაზრის კვლევაში, ძირითადად, მითითებულია კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი და მხოლოდ ერთ გვერდზეა წარმოდგენილი ზოგადად 500-ზე მეტ პოზიციაზე მოთხოვნის თაობაზე, რომელიც გარკვეული ინტერნეტ-რესურსების ანალიზით არის შემუშავებული. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს განმარტებისკენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ინსტიტუციას ამავე დოკუმენტში საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი აქვს ყველა იმ შესაძლო თანამდებობებზე დასაქმებისა, სადაც შესაძლებელია, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოცემული საკითხები თავდაპირველად რეკომენდაციად იყო შემუშავებული, თუმცა პროგრამის სპეციფიკის შინაარსისა და უნივერსიტეტის სურვილის და მზაობის გათვალისწინებით, ექსპერტებმა იფიქრეს, რომ აღნიშნული საკითხები იქნებოდა უნივერსიტეტისთვის განმავითარებელი თუ განსაზღვრული იქნებოდა რჩევის სახით.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა შესაძლებელია თუ არა პროგრამის წარმატებულად განხორციელება იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ პერსონალს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ აუცილებელია კონკრეტულად ქართული ფილოლოგიის დარგში, პროგრამის განმახორციელებლებს, მათ შორის, აკადემიურ აფილირებულ პერსონალს ჰქონდეს აკადემიური ხარისხი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ორი პროფესორია, რომელსაც დარგში არ აქვს აკადემიური ხარისხი, თუმცა აქვს კვლევები და გამოცდილება, რამაც განაპირობა აღნიშნული საკითხის რჩევის სახით ჩამოყალიბება. გამომდინარე აქედან, პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით შეკითხვები არ გაჩენილა.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას საკმაოდ დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი დასაქმების სფეროების ჩამონათვალი, რაც არის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ხედვა ფილოლოგიის დარგის. რაც შეეხება ბიუჯეტს, ვიზიტი შედგა ნოემბრის შუა რიცხვებში და უნივერსიტეტი ამ პერიოდში ემზადებოდა ახალი ბიუჯეტის დასამტკიცებლად, თუმცა იმ მომენტისათვის ახალი ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ იყო. შრომის ბაზრის ანალიზიც, ასევე, იყო ზოგადი და ძირითადად მოცემული იყო კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოძიებული ანალოგიური ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ფუნქციონირებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ძალიან ხშირად ჰგავს ერთმანეთს სწავლის შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით, უფრო მეტიც, ზოგჯერ ესა თუ ის თეზისი სიტყვასიტყვით მეორდება სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროგრამებში, არადა მდიდარი ქართული ენა იძლევა იმის შესაძლებლობას, ერთი და იგივე სათქმელი ორიგინალურად იყოს წარმოდგენილი. ამა თუ იმ პროგრამაზე მუშაობა მეტწილად მაინც შემოქმედებით პროცესს უკავშირდება, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სიტყვასიტყვით არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება ქართულ ფილოლოგიას. დარგობრივ მახასიათებელთა პროექტის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ წარმოჩენა უფრო მეტ ინტერესს შემატებს როგორც თითოეულ თეზისს, ისე პროგრამის მთლიან შინაარსს. აქედან გამომდინარე, პროგრამაში სიტყვასიტყვით არ არის გადმოწერილი დარგობრივი მახასიათებლები, თუმცა სწავლის შედეგები სწორედ ამ მახასიათებლებს ემყარება.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, მოცემულ საგანში, მე-12 საკითხად გამოყოფილია ,,ლიტერატურული ციტირების წესები ამერიკის ფსიქოლოგთა სტანდარტის მიხედვით“, რომლის სწავლებაც პლაგიატის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.
ამასთან, დაწესებულება სრულიად ითვალისწინებს რეკომენდაციას კურიკულუმის რუკასთან დაკავშრებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სააკრედიტაციო განცხადების წარდგენისას ტექნიკური ხარვეზის გამო სხვადასხვა სათაურით აღმოჩნდა ერთი და იგივე სილაბუსი, რაც უკვე გამოსწორებული იქნა დაწესებულების მიერ.
მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი ,,ლიტერატურათმცოდნეობა“, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას, ესენია: ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია და ლიტერატურის კრიტიკა. ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით სტუდენტები აღნიშნულ კურსში სწავლობენ სხვადასხვა ავტორის შეხედულება-მოსაზრებებს, ლიტერატურულ მიმდინარეობებს, ჟანრებს და, ასევე, ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშებს.

უნივერსიტეტი, ასევე, სრულიად ეთანხმება რეკომენდაციებს სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, კერძოდ ,,სოციოლონგვისტიკის“ სასწავლო კურსს ეწოდება ,,სოციოლონგვისტიკის შესავალი“ და ამასთან მას დაემატება შესაბამისი ლიტერატურა.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღნიშნული შედეგი მიიღწევა რამდენიმე სასწავლო კურსის საშუალებით, ესენია ,,მეტყველების კულტურა“, ,,აკადემიური წერა“, ,,კომპიუტერული უნარები 1-2“, რომელსაც რეკომენდაციის გათვალისწინებით დაემატება ტექსტის დაკაბადონებასთან დაკავშირებული საკითხებიც.
ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მე-10 რეკომენდაციას ეთანხმება ნაწილობრივ, ხარისხის სამსახურის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების პროცესში მონაწილეობის შესახებ, კერძოდ როგორც თავად ექსპერტები აღნიშნავენ, ხარისხის სამსახური აქტიურად არის ჩართული პროგრამის მომზადების პროცესში, თუმცა რაკი კურიკულუმის რუკა დასაზუსტებელია, ხარისხის სამსახური გააქტიურებს შეხვედრებსა და მუშაობას ამ მიმართულებით.
ამასთან აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე წარმოდგენილია ხარისხის არ მქონე მხოლოდ ორი პირი, რომლებიც ჩართულნი არიან მხოლოდ სემინარებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ პროგრამას ჰყავს 18 აფილირებული განმახორციელებელი პერსონალი, საიდანაც მხოლოდ ორს არ აქვს აკადემიური ხარისხი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:48**
**დასრულების დრო: 15:59**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს შინაარსობრივი გადაფარვები მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში.
2. რეკომენდებულად მიგვაჩნია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი კურსი დონეების მითითებით.
3. რეკომენდებულია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრულ საგანში: “მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა”, აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საკითხები.
4. რეკომენდებულია, ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვროს ლიტერატურის თეორიის სწავლება და აისახოს სწავლის შედეგებში.
5. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი ორი სასწავლო კურსის - „მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები“ (LIB 002) და „სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასტანდარტიზაცია“ (LIB 137) - შინაარსი (თემატიკა) და მითითებული

ძირითადი ლიტერატურა იმეორებს ერთმანეთს; რეკომენდებულია სათანადო შინაარსობლივი ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სილაბუსებში, რათა აღმოიფხვრას ეს დამთხვევები.

6. რეკომენდებულია, საგანს „სოციოლინგვისტიკა“ (GEO 016) ეწოდოს „სოციოლინგვისტიკის შესავალი;“ ამას განაპირობებს მისი შინაარსი, რაც ასევე დაფიქსირებულია სილაბუსში ჩამოთვლილ სასწავლო კურსის მიზნებს შორის: „გააცნობიერებინოს დისციპლინის შესავალი კურსი.“
7. რეკომენდებულია, „სოციოლინგვისტიკის“ (GEO 016) სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყოს მითითებული ისეთი რესურსები, რომლებიც ერთი მხრივ, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელია ენის შესაძლო არცოდნის გამო, ხოლო მეორე მხრივ, არის ფართო სამეცნიერო წრეში არაღიარებული ინფორმაციის შემცველი. ასეთებია: www.krugosvet.ru და http://www.rsuh.ru/article.html?id=398
8. რეკომენდებულია, შეიქმნეს საგამომცემლო საქმის შესაბამისი სასწავლო კურსი და შეივსოს ტექსტის რედაქტირებასთან ერთად საგამომცემლო საქმის შესაბამისი თემატიკით, ან პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედგებიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.
9. რეკომენდებულია გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.
10. რეკომენდებულია, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მათი შეფასების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტებში არსებული შინაარსობრივი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

**რჩევები:**

1. სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: “მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა”, სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც მოხდება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით;
2. სასურველია, სასწავლო კურსებში მოცემული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის მოცულობა შეესაბამებოდეს სტუდენტის კვირეულ დატვირთვას;
3. სასურველია, სასწავლო კურსი “ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა” ამოღებული იყოს პროგრამიდან, რადგან განკუთვნილია პედაგოგიკის დარგისათვის და არ შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს;
4. სასურველია, პროგრამის მიზნებიდან, შედეგებიდან და პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროდან გამომდინარე, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, პრაქტიკა გაიარონ კულტურის სფეროში, საგამომცემლო და მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში და სხვა;
5. სასურველია, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალიდან დაწესებულებამ ამოიღოს დისტანციური სწავლების მეთოდი;
6. სასურველია, რომ გაიზარდოს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების რაოდენობა;
7. სასურველია, გარე შემფასებლების მიერ სამომავლოდ პროგრამის განვითარებისა და დარგისთვის რელევანტური, თუნდაც განსხვავებული ან/და ორიგინალური ხედვების

ასახვის მიზნით პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი, სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები შესწავლილ იქნას უფრო დეტალურად;

8. სასურველია, ჩატარდეს მეტად ჩაღრმავებული შრომის ბაზრის კვლევა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, რაც პროგრამის გუნდს დაეხმარება დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და დამსაქმებლების საჭიროებების ასახვაში;
9. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც კითხულობს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ სასწავლო კურსებს, ფლობდეს შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ან/და უდასტურდებოდეს უახლესი კვლევები და პუბლიკაციები დარგთან მიმართებით;
10. სასურველია, განახლდეს აკადემიური და მოწვეული პირების პირადი მონაცემები უახლესი კვლევებით;
11. სასურველია, პროგრამა გამრავალფეროვნებული იყოს დარგობრივი კურსებით, მათ შორის, დარგობრივი არჩევითი კურსებით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსებით მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები;
12. პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, სასურველია დაწესებულებამ განაახლოს პროგრამის ბიუჯეტი.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**2.მეორე საკითხი :** შპს ალტე უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჟურნალისტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2022 წლის 12 იანვრის N15136 გადაწყვეტილება |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ჟურნალისტიკა |

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჟურნალისტიკის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, 0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულების მიზნით უსდ-მ შეიმუშავა შესაბამისი მექანიზმი - ,,აკრედიტაციის რეკომენდაციების/რჩევების შესრულების მეთოდოლოგია“, რომელიც მას დაეხმარა რეკომენდაციების ორგანიზებულად და გააზრებულად დაგეგმვასა და შესრულებაში. მეთოდოლოგია დამატებითი ინფორმაციის სახით არის ქვემოთ მოწოდებული. მეთოდოლოგიის შემუშავების შედეგად, რეკომენდაციების შესრულება ეტაპობრივად, შესაბამისი სუბიექტების ჩართულობით მიმდინარეობდა. რეკომენდაციების შესრულებისას გათვალისწინებული იქნა პროგრამის განვითარების ინტერესი, სტუდენტების საუკეთესო ინტერესი, დაწესებულების რესურსები და შესაძლებლობები, გონივრულობა და მიზანშეწონილობა, პროგრამის განხორციელების ეფექტიანობა. რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული და შესრულებული.
ამასთან, აკრედიტაციის საბჭოს მიერ შეთავაზებული რჩევების გათვალისწინებაც, ისევე როგორ რეკომენდაციებისა, მოხდა პროგრამის განვითარების ინტერესის, სტუდენტების

საუკეთესო ინტერესის, დაწესებულების რესურსებისა და შესაძლებლობების, გონივრულობისა და მიზანშეწონილობის, პროგრამის განხორციელების ეფექტიანობიდან გამომდინარე. რჩევების ანალიზი და ეტაპობრივი განხორციელება შესაბამისი სუბიექტების მიერ, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ,,აკრედიტაციის რეკომენდაციების/რჩევების შესრულების მეთოდოლოგიის“ თანახმად წარიმართა.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებე ლი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს და გაიმიჯნოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერის მესამე კომპეტენცია „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
2. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის სტანდარტების და შეფასების კრიტერიუმების დაცვა;
4. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ. მედიამენეჯმენტი, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ბეჭდური მედია, საზღვარგარეთის მედია) გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდისგან; ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნდეს;
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
6. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, ცვლილებები იქნა შეტანილი პროგრამის სწავლის შედეგებში და გათვალისწინებული იქნა კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაცია, განათლების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის, ასევე აკრედიტაციის განახლებული სტანდარტის შესაბამისად შესწორებები შევიდა მედიაორგანიზაციებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში და დაზუსტდა სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრა ერთი სემესტრით.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, აკადემიური წერის უნარების უკეთ განვითარების ხელშეწყობისთვის პროგრამას დაემატა საგანი „აკადემიური წერა“ და გაზაფხულის სემესტრში იგეგმება „ტურნიტინის“ დანერგვა არსებული „ურკუნდის“ ნაცვლად, რაც გააუმჯობესებს პლაგიატისგან დაცვისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ხარისხს. ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში დაცულ საბაკალავრო ნაშრომები აკადემიურ სტანდარტებს შედარებით მეტად შეესაბამება.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაცია, რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში შესწორებები ძირითადად შეტანილია, თუმცა, სასურველია, აქტივობებისა და შეფასების თანხვედრა უფრო ცხადად და კონკრეტულად იყოს წარმოჩენილი როგორც შეხვედრების ქვეშ, ისე - შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების ნაწილში. რეკომენდაცია მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო აქტივობის ამაღლება-შენარჩუნების მიზნით უსდ-მ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა ონლაინ კონფერენცია, რომლის ძირითადი თემა იყო მედია და კოვიდ-პანდემია. მასში მონაწილეობა მიიღო აკადემიური პერსონალის ხუთმა წარმომადგენელმა. ასევე, ამავე პერიოდში პროგრამაში ჩართულ 11 ლექტორს ჰქონდა ერთი ან მეტი პუბლიკაცია, ან მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში.
საბჭოს რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების წესების“ შესაბამისად, სტუდენტების გამოკითხვისთვის შეიქმნა ახალი კითხვარები, კერძოდ, გაიმიჯნა საგნისა და ლექტორის შეფასებები. მისასალმებელია, რომ ამ პროცესში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, ასევე აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა. კურსისა და ლექტორის შეფასება სტუდენტის მიერ ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს, ელექტრონულად. გამოკითხვები წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით ხორციელდება

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამიჯნულია შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, დაწესებულებამ გადაწყვიტა რომ საკითხები ჩაშლილი ყოფილიყო რუბრიკების სახით, რაც უფრო მეტ სინათლეს შემოიტანდა თუნდაც უკვე მიჩვეული სტუდენტისათვის თუ რის საფუძველზე ფასდება და რა მოეთხოვება.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:20**
**დასრულების დრო: 16:21**
**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ალტე უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს ალტე უნივერსიტეტის “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**3.მესამე საკითხი :** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | პოლიტიკის მეცნიერებები |
| 2 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2022 წლის 21 იანვრის N 51150 გადაწყვეტილება |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | პოლიტიკის მეცნიერებები |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ა. პოლიტკოვსკაიას N 61, თბილისი, 0186, საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი. |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

√ კი

თვითაცილება განაცხადა- მაკა კაჭარავამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულა.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და დაადასტურა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა, რაც დადებითად წაადგება პროგრამას.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:24**
**დასრულების დრო: 16:25**
**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**4.მეოთხე საკითხი :** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ეკონომიკა |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2022 წლის 11 იანვრის N11011 გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ეკონომიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | მე-6 |
| კვალიფიკაციის დასახელება | ეკონომიკის ბაკალავრი |
| | - |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0311 - ეკონომიკა |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი | ა. პოლიტკოვსკაიას N 61, თბილისი, 0186, საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი. |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადა- მაკა კაჭარავამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან, შესრულდა 1-ლი, მე-2 და მე-5 რეკომენდაცია, ხოლო მეტწილად შესრულდა მე-3 და მე-4 რეკომენდაცია.
**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
2. გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი ,,აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე".
3. პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

4. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს.
5. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრატიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

ექსპერტმა ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ მე-3 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში და თანადართულ დოკუმენტებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიგი სავალდებულო სასაწავლო კურსების კრედიტების მოცულობა გაიზარდა. კერძოდ, ,,ეკონომეტრიკის საფუძვლები 1“ და,, ეკონომეტრიკის საფუძვლები 2“ გახდა 3-3 ECTS კრედიტიანი. ასევე, კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 6 ECTS კრედიტამდე სასწავლო კურსებში: ,,ფირმის ეკონომიკა“ და ,,საქართველოს ეკონომიკა“. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ექსპერტული შეფასებით დგინდება, რომ ,,ფირმის ეკონომიკის“ სილაბუსში სასწავლო მასალის თემატური და მოცულობითი სტრუქტურა შეესაბამება არმოდგენილ ანგარიშში და თანადართულ დოკუმენტებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიგი სავალდებულო სასაწავლო კურსების კრედიტების მოცულობა გაიზარდა. კერძოდ, ,,ეკონომეტრიკის საფუძვლები 1“ და,, ეკონომეტრიკის საფუძვლები 2“ გახდა 3-3 ECTS კრედიტიანი. ასევე, კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 6 ECTS კრედიტამდე სასწავლო კურსებში: ,,ფირმის ეკონომიკა“ და ,,საქართველოს ეკონომიკა“. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ექსპერტული შეფასებით დგინდება, რომ ,,ფირმის ეკონომიკის“ სილაბუსში სასწავლო მასალის თემატური და მოცულობითი სტრუქტურა შეესაბამება.
რაც შეხება მე-4 რეკომენდაციას, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებად განისაზღვრა შემდეგი კურსები: საერთაშორისო ეკონომიკა 2, ფირმის ეკონომიკა, ეკონომიკური კვლევის საფუძვლები, ეკონომეტრიკის საფუძვლები. ანალოგიური ინფორმაციაა პროგრამის სასწავლო გეგმაში/სტრუქტურაში. თუმცა სილაბუსში სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა განსაზღვრულია შემდეგი ფორმულირებით: ,,საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათალისწინებული სასწავლო კომპონენტების გავლა“. ამ ფორმულირებებს შორის შინაარსობრივად არსებითი განსხვავებაა. მიზანშეწონილია წინაპირობები ყველა დოკუმენტში ფორმულირებული იყოს ერთი შინაარსით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დაკონკრეტდა ის სასწავლო კურსები, რომლებიც განსაზღვრავენ საბაკალავრო ნაშრომს. გადაწყვეტილება მიღებულია, აღნიშნული მოცემულია პროგრამაშიც, თუმცა ანგარიშის წარმოდგენის დროს ატვირთული იქნა სილაბუსი ტექნიკური ხარვეზით, კერძოდ წარმოდგენილი იქნა ძველი სილაბუსი.
რაც შეეხება სხვა სასწავლო კურსებს და კრედიტების გაზრდის საკითხს, კურსის ხელმძღვანელებთან შეთანხმების შედეგად გაიზარდა მასალისა და კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსებში.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:32**
**დასრულების დრო: 16:35**
**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
**√** აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**5.მეხუთე საკითხი :** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 18.01.2021, გადაწყვეტილება №38071 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| კვალიფიკაციის დასახელება | • პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science)<br>• საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations) |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0312 - Political sciences and civics პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| განხორციელების ადგილი | |

| | |
|---|---|
| | ილია ჭავჭავაძის გამზირი 32<br>თბილისი, 0179, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 28 დეკემბერს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები. სამუშაო ჯგუფი შედგება ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მენეჯერისაგან. ჯგუფი გაეცნო საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილა თითოეული მათგანი, მოახდინა ადექვატური ცვლილებები საგანმანთლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:52**
**დასრულების დრო: 16:57**
**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: :** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**6.მეექვსე საკითხი :** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

| **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2021 წლის17 დეკემბრის № 1383966 გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | მე-8 |
| კვალიფიკაციის დასახელება | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0312 - Political sciences and civics პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 48 |
| განხორციელების ადგილი | |

| | |
|---|---|
| | გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 17 დეკემბერს გადაწყვეტილების შესაბამისად და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ 1-წლიანი ვადა, 2022 წლის 17 დეკემბრამდე. დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში, სადაც აღწერილია 8 რეკომენდაციის საკითხზე გატარებული ღონისძიებები.
პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, დაგეგმა შესაბამისი პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად. მოხდა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტების განახლება და ფაკულტეტის საბჭოზე შეტანილი ცვლილებების განხილვა/დამტკიცება.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:00**
**დასრულების დრო: 17:21**
**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
**√** აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: :** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:25 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით